კვირა, 7 აგვისტო 1927 წ. № 112 ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

გამოცხადებულია კონკურსი პიესებზე მუშ. კლუბებში დასადგმელათ.

გაზეთებიდან.



მწერალი—აი, ორი პიესა მოვიტანე... და რას მომცემთ?
— დალოცვილო ეს პიესა კი არა მთელი სახარებაა!
მწერალი—უკაცრავად! ჯერ ერთი—ჩემი პიესა ანტირელიგიოზურ შინაარსის გახლავთ, და მეორე—შე-
მოკლეთ და ნორმალური ზომის იქნება!

# სოც. დემოკრატიის „ვაჟკაცობა“

კაუცკიმ ვენის ამბების შესახებ განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია არ დაბნეულა და არც გაქცეულა, ამ ამბების დროს.



მართალია, არ გაქცეულან, მაგრამ რაც დაემართათ, მკითხველი დაინახავს სურათზე.

---

# „იზმი“, „ტიზმი“, „ზაცია“

ტარტაროზიდან მივიღე ამა თქმისათვის ხანქცია,
მივეც სიტყვა არ დავინდო, ქალია თუ კაცია.
რადგან, ჩვენში შემოიჭრა ევროპეიზაცია,
ქართულ სიტყვებს წაემატა „იზმი“, „ტიზმი“, „ზაცია“.

ქალქში, რომ მიდი-მოდის ლენა, მარო ფაცია,
დახეთ ერთი გენაცვალეთ, რა მშვენივრად აცვიათ!
ფეხებს, გულსა და მკვლავებზე, არის ზაჭესაცია,
ეჰ, რასა იქ ძმაო, ალბად, ქვეყანა თვალთმაქცია.

ყურთხეულ იყოს მარად საბჭოების ნაცია,
ჩვენი გაძლიერების მოხდა სტაბილიზაცია,
თორემ ვინძლო ჩაგვყლაპავდა ჩემბერლენიზაცია,
ფხიზლად ვიყოთ, ხომ იცით ქვეყანა თვალთმაქცია.

ნამეტანი გახშირდა ცოლის სოციალიზაცია,
ოფლსა ღვრიან გაჰყავთ გზები და კანალიზაცია
ნეტავ რათ არ მოქმედობს ქმრებთა კორპორაცია,
ეჰ რას იზამ ჩემო ძმაო... სულ ყველა თვალთმაქცია.
კრულვა ვინც შემოიტანა ეს სიმულიაცია,
შიგნივ შევა იკუნტება, გარეთ ხტის ვით ვაცია.
რატომ თვალებს არ გაახელს ეს ექიმთა ფრაქცია,
ვერ მოვსპობთ მათ? მგონი ვერა... ქვეყანა თვალთმაქცია.

ჩვენს ქუჩებში შემოიღეს სემაფორიზაცია,
ვნახოთ, ვნახოთ რას მოგვცემს ეს სიგნალიზაცია!
უსარგებლოთ ტყვილა სცდება მილიციის კაცია.
ეგრე წესს ჩვენ ვერ დავიცავთ,—ქვეყანა თვალთმაქცია.

მ. კაცია.

# ახალი ანდაზები

1. სადაც შეხვიდე,—იქაური ანკეტა შეავსე.

2. ურემი რომ გადაბრუნდება,—გამსახლიც მაშინ გამოჩნდება.

3. შორი გზიდან მოუარე,—სტრახკასაში მიდი და მშვიდობით გაიდება აგარაკზე ხიდი.

4. ავი შემნახავი,—კარგი გამფლანგველია.

5. ათჯერ გაზომე,—გადაჭრის დროს არავინ გაგისწორობს.

6. გადი-გამოდი გუთანო,—ფრთხილად სახალხო ფულთანო.

7. გაჭირვებამ გამგის ცოლთანაც კი დამაწვინაო.

8. დაუპატიჟებელ სტუმარს—რევიზია ჰქვია.

9. გამსახლში შესვლა შენს ხელთ არის, გამოსვლა ამნისტიის.

10. დედაკაცის თმა გრძელია,—ალიმენტი კი ძნელია.

11. დედა ნახე, მამა ნახე—შვილის გვარი სასამართლოს ოქმში ნახე.

12. ვაიმე ძმაო თარხანო—კოოპერატივის ნოქრათ რათ ხარო.

13. გამგე ისეთ შიკრიკს არ ჩაყლაპავს—რომლის მონელება ვერ შეეძლოს.

14. მოლარემ სთხარა, სთხარა—მუშგლეხინის რევიზია გამოსთხარა.

ხოზიკა.

# „ღირსეული“ თანამშრომელი




—ყველაზე უფრო კარგი მასალები ჩვენს კედლის გაზეთში სიმონა ყლაპაძემ მოგვცა!
— იმას რა მასალები უნდა მოეცა? თვითონ ლოთია! — ეგეთი რომაა ჩვენც სულ იმაზე ვწერდით და მასა-ლაც ამიტომ ბევრი იყო.

# ვაკანსია

ძმარკიტრტრესტის საჯონჯოლო განყოფილებას მღელვარება ემჩნეოდა. მოსალოდნელი იყო ერთგვარი „მასიური გადაწევა სასამსახურო ხაზზე“, ასეთი ამბავი კი არც ისე ხშირად ხდება.

გიორგი მაკარიჩი ერთი კვირაა, არ წასულა სამსახურში.

უკანასკნელ დღემდე ყველანი ფიქრობდენ, რომ ამას, როგორც ყოველთვის, არავითარი შედეგი არ მოყვებოდა, მაგრამ უეცრად ვილაცამ ხმა გაავრცელა, რომ გიორგი მაკარიჩი მძიმე ავადმყოფია და კონსილიუმიც კი მოუწვევიათ.

საჯონჯოლო განყოფილება შეინძრა. ყველას მწუხარება გამოეხატა სახეზე.

— საწყალი გიორგი მაკარიჩი... თუ რაიმე უბედურება მოხდა, ამას ვერ გადაიტანს ძმარკიტრტრესტის საჯონჯოლო განყოფილება.

ვილაცას აზრად მოუვიდა, აქედანვე შედგომოდენ გვირგვინისათვის ფულის შეგროვებას, მაგრამ რაღაც გამოურკვეველ მიზეზის გამო ეს არ განხორციელებულა.

განსაკუთრებულ საგონებელში იყო ჩავარდნილი გიორგი მაკარიჩის თანაშემწე პროკოფი. ეხლა ის სრული პასუხისმგებელი იყო საქმეებისა და ყველა საჯონჯოლო ოპერაციები მის ხელში გადიოდა.

ეს არც ისე ადვილი საქმე იყო და ის განსხვავება, რომელიც ერგებოდა პროკოფის დროებით უფროსის თანამდებობის შესრულების გამო, მალამოდაც არ ეცხობოდა ლოდინისაგან დაიარავებულ გულს.

მას შემდეგ, რაც რევოლიუცია დაიწყო, პროკოფის სულ დაავიწყდა ღვთის არსებობა, ამაზე უკვე აღარც მოდა იყო და არც დრო.

ერთ დღეს, როდესაც ღრმად ჩაფიქრებულმა პროკოფიმ ეკლესიის წინ ჩაიარა, მოულოდნელად შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, შეიცადა ცოტა, სანამ გზათ მიმავალი უცნობი პიროვნება მოსახვევში მიიმალებოდა და ეკლესიაში შეძვრა.

დანთებული ორშაურიანი სანთელი და ხუცესის ხელზე გრძელი ამბორი თავდები იყო, რომ ღმერთი მოწყალებით მოიბრუნებდა გაბუტებულ სახეს პროკოფისაკენ.

დაძინების წინ პროკოფის კიდევ გაახსენდა ღმერთი და ცხარე ლოცვით მიმართა მას:

— ღმერთო, თუ კიდევ ხარ მართლა სადმე.. თუ კიდევ შეგრჩენია რაიმე ძალა.., გამოიჩინე ზარემ შენი ძლიერება, რაღას უყურებ—ათი წელიწადია არაფერი მითხოვია შენთვის.. ვიცოდი, რომ არ გეცალა, არ მინდოდა ტყუილუბრალოდ შემეწუხებინე, ისედაც შეწუხებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზრუნავს!



— ხედავ როგორ ზრუნავს ქვეყანა?
— ჩვენც ავყვეთ რაღა, მეტი რა დაგვრჩენია!

იყავი მტრებისაგან და მოყვარეებისაგან.. მაგრამ დღეს კი მოგმართავ ერთი განცხადებით და ნუ დატოვებ მას უშედეგოდ.. ნუ ამოდებ მაუდის ქვეშ...

როდესაც ლოგინში ჩაწვა, ერთი კიდევ ასძახა ჭერს სასოებით:

— აბა, შენ იცი, ეხლა ღმერთო.., რა იქნება, რომ ერთს შენს მიერ გაჩენილს ადამიანს არ დააყენო საშველი და შენთან გაიწვიო უვადო შვებულებაში...

დიდხანს არ ეძინებოდა კიდევ პროკოფის. მძიმე ფიქრები არ აძლევენ მოსვენებას, მაგრამ ფიქრებზე ნაკლებ არც ბაღლინჯოები აწუხებდენ.

იურიდიულ თვალსაზრისით ბაღლინჯოები მართალი იყვენ. პროკოფი მხოლოდ ორი წლის სტუმარი იყო ამ ბინის, იმ დროს როდესაც ბაღლინჯოები ჯერ კიდევ ადამ და ევას მოყვენ სამოთხიდან და წარყვნის დროს ამ სახლს შეაფარეს თავი.

მიუხედავათ ამისა, პროკოფიმ მაინც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა მათ თავის დროზე.

როგორც ყოველთვის, პირველი ბრძოლა მიმართული იყო ცალკე პირების წინააღმდეგ, რომლებმაც პირველ დღის ჩასახლებისთანავე დაატოვებინეს პროკოფის ტახტის მადლობები და იატაკის ველზე ჩამოაგდეს. რამოდენიმე წუთის შემდეგე პროკოფი იძულებული გახდა ნებაყოფლობით დაეცალა იატაკიც და აივნისაკენ დაეხია.

შემდეგ ამისა ბრძოლამ ნამდვილი მასიური ხასიათი მიიღო. ბრძოლს ტეხნკასაც განვითარება დაეტყო და მამაპაპური მეთოდები ჩხირმა და ნავთმა შესცვალა.

შემდეგ ჯერი მიდგა სხვადასხვა იაპონურ თუ ჩინურ ფხვნილებზე, რომელთა მოქმედება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ შეგეძლოთ ბლომად წაგეყარათ ეს ფხვნილი ბაღლინჯოსათვის და ბაღლინჯო კი ყურსაც არ გაიპარტყუნებდა, ისე გაუდგებოდა თავის გზას.

პროკოფიმ არ იცოდა, ვინ იცის შეიძლება იცოდა კიდეც, რომ ბაღლინჯოების წინააღმდეგ არსებობს კიდევ ერთი რადიკალური საშუალება, რომლის შემდეგ არცერთი ბაღლინჯო არ გადარჩება ცოცხალი. ეს არის სახლისათვის ცეცხლის წაკიდება და გადაბუგვა... ყველაზე სწორი საშუალება! ის არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას და თანაც ხელმისაწდომია საზოგადოების ყველა ფენებისათვის.

მიუხედავათ ამისა, პროკოფი მაინც ოცნებებში იყო გადავარდნილი.

ხვალიდან იგი ყოველდღე იყიდის გაზეთს და გულდასმით გადაათვალიერებს უკანასკნელ გვერდებს. სასიხარულო ამბავი სწორედ უკანასკნელ გვერდზე უნდა იყოს.

და აი, გასჭრა ორშაურიანმა სანთელმა და უმანკო ლოცვამ.

გაზეთში უკვე არის სასიხარულო ამბავი შავ არშიით შემოვლებული:

შემდეგ ყველაფერი ისე მიდის, როგორც ეს გათვალისწინებულია პროკოფის მიერ.

პროკოფი უკვე აღარ არის თანაშემწე, იგი ცალკე კაბინეტში ზის და კარებთან დარაჯი დგას.

საჯონჯოლო ოპერაციები დღითი-დღე იზრდებიან, მთელი საქართველო დაფარულია ჯონჯოლის პლანტაციებით.,

განყოფილება ძლივს აკმაყოფილებს უცხოეთის მოთხოვნილებების 50 პროცენტს.

დაბოლოს მიღებულია პროკოფის უკანასკნელი ოცნებაც, მთელი ძმარკიტრტრესტი მის ხელშია ჯონჯოლის განყოფილებუთურთ... და ყველა არა სასიამოვნო პირები დარეკილ-დაფერთხილია..

გათენებისას პროკოფიმ საავადმყოფოში მიაკითხა გიორგიმ მაკარიჩს, მაგრამ იგი უკვე გამოეწერათ იქიდან.

— ალბად უკიდურეს მდგომარეობაშია და მორჩენის იმედი აღარ აქვთ, გაიფიქრა პროკოფიმ.

პროკოფი შეგვიანებით მივიდა სამსახურში, ეხლა იგი თვით იყო უფროსი და ვერავინ გაუწევდა კონტროლს, პირიქით ვალდებული იყო სხვებისათვის ედევნებინა თვალყური, მაგრამ ვინ იფიქრებდა საქმის ასე შებრუნებას! გიორგი მაკარიჩი უკვე თავის მაგიდას უჯდა და ყველა საჯონჯოლო ოპერაციები კვლავ მის ხელში იყო.,

თქმა არ უნდა, პროკოფის განცხადება ღვთის წინაშე უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

— გიორგი მაკარიჩ.. მადლობა ღმერთს, რომ ისევ კარგათ გხედავთ.. როგორ გრძნობთ თავს?

—ა არა უშავს... არც ისე ვარ, როგორც ეს მე მინდა, მაგრამ არც ისე ვარ, როგორც თქვენ გინდათ..

და ძმარკიტრტრესტის საჯონჯოლო განყოფილება ისევ ძველ მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა..

**სინემატო.**

# ნუცას სკოლა

რუსთაველის თეატრთან დაარსდა სადრამატურგოსტუდია რეჟისორ ახმეტელის ხელმძღვანელობით. სტუდიაში მყოფ მწერლებმა უნდა შეისწავლონ დრამის წერის კრიტიკა.



ინს რომ ანი მიუმატოთ, გამოგივათ მაშინ—ია..,
თითომ უნდა დაგვიწროთ ათი დრამა-ტრღედია...

## საზამხულო დასვენება

— უნდა გითხრათ მეგობრებო, რომ დასვენება დიდი ხანია სჭირო იყო ჩემთვის. ყველა, ვინც ქუჩაში შემხვდებოდა, ერთსადა იმავეს მეუბნებოდა:

— ადამიანო, რა დაგემართა? როგორ ფარგასავით გამხდარხარ? სისხლისგან ხომ არ დაცლილხარ?

ერთმა ძველმა მეგობარმა, რომელიც მოსახვეში უეცრად შემეფეთა, დაფეთებულად შემომხვდა და გზა მიტია.

— სიმონი ხარ, თუ მოჩვენება?— მკითხა აგერ როდესლაც.

— მოჩვენება რომ ვყოფილიყავი, დღით როგორ გავიარდი ამ ქუჩაზე!— ცოტა წყენით მიუგე მე,—ჯაფამ დამღალა, ბევრს ვმუშაობ... აგერ მალე დასასვენებელ სახლში გამგზავნიან და მნახე შემდეგ, როგორი ჩამოვალ!

რამოდენიმე დღის შემდეგ დასასვენებელ სახლში გამგზავნეს.

სიცოცხლე გაქვს პირველ დღეს მე დავისვენე. გამბანეს, ამწონის, გამაძღეს და დამაძინეს. ვიძინე რამდენიც მინდოდა. არც გუდოკის ხმას შეუწუხებივარ და არც ცოლის ყაყნს.

მეორე დღიდან კი რაღაც აღარ მომეწონა დასასვენებელი სახლი.

ჭამე, ხეთქე, იძინე და ტყვილა იყავი რამდენიც გინდოდეს, მაგრამ გული საგულეს მაინც არ იყო.

მესამე დღეს გადავირიე კაცი! დავყიალობ უსაქმოდ, ხან აქ მივეყუდეხეს, ხან იქ წამოვწექი ბალახში—ერთი სიტყვით ვირევი კაცი! მომკლა ტყუილად ყოფნამ.

გადავწყვიტე დავბრუნდე! უთხარი ექიმებს, მაგრამ არ მიშვებენ...

— ციხეში ხომ არა ვარ!—გავიფიქრე გუნებაში,—მეცნიერება და ტეხნიკა ჩემს განკარგულებაშია, ვიყიდი ბილეთს, ჩავჯდები მატარებელში და შეძიეთ შემდეგ!..

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ტყეში დასასვენებლად გამოგზავნილ მუშამოსამსახურეების ერთ ჯგუფს წავაწყდი. ვხედავ—რგოლად დამსხდარან ხის ძირში და ოთუზბირს შეექცევიან.

დამინახეს, მომიწვიეს. მეც ჩაუჯექი.

ისინი აა შენა ღმერთმა! ისე გაიარა დღემ, რომ არც შემინიშნავს... მხოლოდ სალამო ხანს ავდექით... მანამდი კარტს შევექცევოდით.

ამის შემდეგ იქ ცხოვრებაც გამიადვილდა. დილას დავსხდებოდით თუ არა, დაღამებამდე ოთუზბირს შევექცევოდით და ვიცარიელებდით ჯიბეებს.

კიდევ აა შენა ისინი ღმერთმა! ისე გავატარე მთელი თვე, რომ არ გამიგია...

მართალია, როცა დავბრუნდი, ცოლი ტირილით შემხვდა—მომაკვდავს დამგვანებიხარო,—მაგრამ მე მაინც კმაყოფილი ვარ... სიამოვნებით გავატარე დრო!

კარგია დასასვენებელი სახლი!

**სიმ—ლიმ.**

# „კაპიშონი“

— ვა, ეგეც რამეა? კაცი ზაგესის სტოლბასავით ახმახი იყო, მხრებზე საზამთროს ტოლა თავი გებას და თავში იმტოლი ჭკვა არა გქონდს, რომ ქალი კაცისაგან ვერ გაარჩიო?

ვებნები:—ძმაო, ბემურაზი ვიყო, თელეთი გამიწყრეს თუ ,რომ მე ქალი ვიყო, შამამხედე რაღა, მართალია ქალის კაპიშონი მაცვია, ჰამაც წვერ ულვაში არა მაქვს, ჰამა წვერ-ულვაშს რა ჭკვა აქვს? შენ სხვა რამე თქვი, დანარჩენი პრიმეტები ხომ კაცისა მაქვს მეთქი? ჰამაც დუ.უჯის არტისტი კი არ გეგონოთო, წვერ-ულვაში იმიტომ არ მასხია, რომა ქოსა ვარ, დახურულ ბაზარში არ ჩაგივლია? ქოსა იაკოფა არ გაგიგონია? მე ვარ რაღა, ძმობის მადლმა, ეხლა ნურაფერს მიზამ, გამიშვი და თუ მერე ამ კაპიშონში კიდევა მნახო, მაშინ რაც გინდოდეს ის მიყავი მეთქი!...

საქმეში ხარ? იმან უფრო ჰოპოპები აუშო, მთვრალი იყო და ა/.შიყობის ჰიშტაზე მოვიდა, მებნება:

—ტიტაჯან. ახარ, რო მატყუეფ, რას მატყუეფ? ისეთი აჩაინი ქალი ხარ რომ კაცობასა სჩემულოფ? ჰუზურში ეხლა არც დიდი რაზნიცაა, ქალაქის ქალებიც კაცებივით დაკრეჭილები დადიან, ტროსტი, გალსტუკა, რამე—ყველაფერი კაცისა აქვთო, ჰამა შენ მაინც სულ სხვა ნუგბარი რამე სჩანხარ მოდი, ამ კუსტებს იქით შენი ნებით წამოყე, ტყისკენ გავიგულავოთ, თორემ ჰაა, ძალით წაგიყვან და კაბა გაგიფუჭდებაო.

ბევრი ვეხვეწე, ჰამა არა ქნა, ბოლოს გაქცევაც დავაპირე და როცა ფეხი არ გადავდგი?—ერთი ისეთი მტაცა რომა...

ე-ეხ, მოდი და რახან თქმაა, ბარემ თავიდან გეტყვით, რომ ყველაფერი იასნათ გაიგოთ:

ჩემი აჩაინობის ამბავი არ იცით? მარტო სიარული მიყვარს რაღა, ჰამაც მინდორში რო გავალ გზას გადაუხვევ, მიყვარს ნუგბარ ბალახებში სიარული, ხეების ქვეშ გაჩერება, ჩიტებისა და ჭრიჭინებისათვის ყურის დაგდება, მამწონს პრიროდის შნო და ლაზათი, ხეების ქვეშ დასვენება, გვერდის ქარის ამოღება, ფიქრებში წასვლა, გართობა. მაგრამ წყალი თუ ვნახე?—მორჩა. იქიდან უბანებლათ არ წავალ; ჩავწვები და ლაზათ ჯიგარს გავიგრილებ, ვისიამოვნეფ. ქალაქის სიცხეს დავივიწყეფ და მერე იქვე, ბერეგთან ბალახებში მუტრუკივით გავგორდები. ჰოდა სწორეთ ამ ჩვეულებამ ჩამაგდო ასეთ ხათაში:

გაგონილი გექნებათ, ჩემი ცოლი—სათენიკა დაჩათ ოქროყანაშია წასული. მეც მუდამ შაფათ დღეს, დუქანს ვკეტამ და მივდივარ ხოლმე. იქით არც ლილეინკები, არც ფაიტონი არ დადის, თუ მგზავრი გინდა, შემაწვნე ვინტოებს უნდა დაუცადო, სხვას ვერავის ნახამ.

მაგრამ მე რათ მინდა მგზავრი? გებნები, გამბედავი ვინმე ვარ, არავის პრავაჟატი არა მჭირდება. აქაც მთელ ზაფხულს მარტო დავდივარ.

შაფათ დღეს, იარმუკაში ჩავივლი, მუტრუკ გრიშუასგნით ვიყიდი კარქ მოთალს, ნუგბარ კიტრებს, ძეგველოვისგნით ზერ:ისტნი ხიზილალასა და დოშს წავიღეფ, ჰამაც ხილი რამე და მივდივარ.

სათენიკაც თავის თაბაუთს იჭერს, მივალ თუ არა მაშინვე მზათა მხვდება: პიკნიკი აქვს რაღა გამართული და ამ ორ დღეს კარგ ქეიფში და პურმარილში ვატარეფთ.

იქ ნათლიმამა მყავს—მეზურნე იაგორას იტყვიან, კარქი მამლხენი ბიჭია, მთელი იარმუკის ბაიათები ზეპირათ იცის, ჰამაც მოსწრებული სიმღერის მოგონება იცის. ამას წინათ ერთი მაზალო პესნა ჩემზედაცა თქო: ვახშმის დროს, ბალკონზე ლოთიანი ბალდადური გავაჩაღეთ, მეც ჰიშტაზე მოველ და ქვრივი შუშანა ვათამაშე, ჰამაც თამაშობის დროს თვალი ჩაუკარი. იაგორამ დამინახა და მღერის: —

— ქოსა იაკოფ,
ნუ ეშმაკოფ:
სათენიკას ეწყიი-ნეე-ბააა!..



**ვაჟი**—ოჰ! იცოდეთ თქვენი გულისთვის...
**ქალი**—ბოლოს და ბოლოს სთქვით, რა გინდათ!
**ვაჟი**—ის მინდა გენაცვალე, რომ მამა შენის სიძე გავხდე!
**ქალი**—მერე მაგ ადვილია, შეირთეთ მამაჩემის ქვრივი და.

---

ყველამ მე შამამხედა და ახში სათენიკამაც ყალ-მაყალი ქნა, რევნოსტობა დაიწყო.

ჰოო, იმას გებნები: ამ წინა შაბათს კიდევ წავედი: თან კარქი ზაკუსკა წავიღე—ხიზილალა, დოში რამე. ჰამაც სათენიკამ ჰაკარაკათ თავის ზაფხულის კაპიშონი—მოცნი კაბა რაღა განიერ სახლებიანი დეკოლტიანი რამეა—დამაბარა თუო, ნეპრემენათ ამამიტანეო.

ერთ პატარა საკოიაჟში ჩუდე სათენიკას ეს კაბა და ზაკუსკეული კი ქაღალდში მაქვს შახვეული. მივდივარ... ფუნიკულიორს არ ავცდი? უყურეფ ქალაქს და ჩემი ჯეჰელობა მაგონდება: ორთაჭალის უბანში გავზრდილვარ რაღა, ლაზათიანი სიყმე გამიტარებია, რამტოლი ქეიფი, ჰიდაობა, ბაბამური დარტყმა, გოგოებში ჰანგლობა, მახსომს! ჰამაც მტკვარში ბანაობა, თევზის დაჭერა რამე მააშ!

აფსუს, ეხლა საღლაა ის შნო და ლაზათი. ჰამინდელი დარდიმანდობა? მტკვარში? ეხლა რა შამიყვანს, ბორანზე რო ვდგები მაშინაც კი ჰელეთ-მელეთი მემართება, ჰამა ისე პატარა წყალში, გუბეში კი ახოტნათ ვიბანავეფ, ეხლა ზაფხულია, ცხელა, ჰამაც ძველი ჩვეულება ძალას მატანს.

ვფიქროფ ასე, ვიგონეფ ძველ მარიფათებს, ვფიქროფ ათას ფლან და ფსტან რამეებზე და მივდივარ... გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეცდაა?

ტფილისის ქუჩებში მოძრაობის მოსაწესრიგებლად დადგმულია სემაფორები.



თუ ძმა ხარ ერთი კოხტა პესნა დაატრიალე, ხოშზე ვარ!

დან გადავსულვარ, მწვანე ბალახებს გავყევი, ხეებში შეველ და პუპუჩ წყალი, პატარა რუჩეი ჩამოდის, ჰამაც აქეთ-იქით გუბეებია, ალხეინათ იბანავეფ, მიველ, ვხედამ წმინდაა, კარქი რამეა, ცივია, პრიატნი საბანაოა.

მამენტალნათ გავიხადე, ზაკუსკა ჩემს ტანისამოსში გავახვიე და საკოიაჟზე დავდე. შაველ ვბანაოფ. კარქი რამეა, ჰამა-ქვეშ ტალახია, წყალი იმღვრევა და მაჭუჭყიანებს. გავიარ-გამოვიარე და ცოტა მოშორებით კარქი ხრიალებს, გეგონება დუშის აბანოაო. ჩავწექი... ისე პრიატნი იყო, რომ დიდხანს თვალ დახუჭული ვწევარ, ვფიქროფ, ვსიამოვნოფ, გული ჯეჰელი მიხდება.

ერთიც ვნახოთ, ძაღლის ყეფა გავიგონე. გავიხედე, სტალბნაიკმა დამარტყა: ვხედავ, ორი ბეხრეკი ძაღლი მიათრევენ ჩემ ტანისამოსს. ზაკუსკის სუნი აუღიათ რაღა, ჰიშტაზე მოსულან და გახსნა ვერ მოუხერხებიათ! ჰამაც ერთმანეთს აღარ აცლიან ერთი მიათრევს—მეორე ეჩხუბება, უყეფს, წართმევა უნდა.

წამოვხტი, იმ საკოიაჟს ხელი დავავლე და გამოუდექი ძაღლებს. ახლო ვერ მიმიბედნია და შორიდან უჯავრდები:

— პოშოლ, დურაკ, ფარშივი, თუ ზაკუსკა მოგეწონათ, თოლ, წაიღეთ, მაგ ტანისამოსს სადღა მიათრევთ? ქვებს ვესვრი, ვყვირი, გიჟივით ტიტლიკანა მივდევ, ჰამა ბან ჩუნეს—არაფერი გამოდის, ერთი უკან მამიბრუნდა და ისეთი შამამიღრინა, რომა გული გამისქდა და მოვკურცხლე. —

წაიღეს რაღა, წაიღეს ისე ტიტლიკანა დავრჩი, გეგონება სამოთხიდან ჩამოვარდნილი ადამიაო. ჩემმა მზემ ძალიან დამენანა ჩემი თავი, სირცხვილი და ბრაზიც სხვა იყო.

რაღას ვიზამდი? ისევ ხერხი ვამჯობინე და სათენიკას კაპიშონი ჩავიცვი. ჩემა მზემ, მართლა ქალსა ვგვანდი აი გინ დაიჯერე, გინდა ნუ. ქოსა არა ვარ? სახე მოლოკილ ჯამს მიგავს და კაბა რომ ჩავიცვი პირდაპირ ქალი გამოველი!..

ავდექი და ამ კაბიანი ისევ ძაღლების მხარეს წაველ. ვიფიქრე, ის ბემურაზები ტანისამოსს ხომ არ შესჭამენ? ზაკუსკას გამაილებენ და კასტუმს თავს დაანებებენ, უყარაულეფ და, როცა წავლენ მეც ჩავიცვამ მეთქი. პატარა ტყე იყო, იქით გადაველ.

უცბათ ვნახოთ, ვიღაც ახმახი მოდის და მღერის:

— ახა-ა-ა-ლი მო-დ-ი-ი-ი-ს.

მაწო—ნი-ი-ი—მო-ო-დ-ი-ი-ის!..

თურმე მემაწვნეა და საქალაქოთ ხმას ისწორებს, გეგონება ოპერნი არტისტიაო, რეპეტიციას აკეთებს.

ვხედამ ჩემსკენ გადმოუხვია, გზაზე მუტრუკივით დადგა და მებნება:

— ოჰ, ტოტაჯან, ვურესგნუმ?—შენ ყიყვიან დარჩუას ქვრივი არა ხარ?

ვებნები—ძმაო, ქრისტიანული გამარჯობა მითხარი, ძმა-კაცურათ დამელაპარაკე—რის ქვრივი,რის ტოტა, შენ ტვინის ლიტინი ხომ არა გაქვს მეთქი?

გიჟივით იცინის, პრავა ტოტაჯან, აფერუმ შენს მოხერხებას, დიდი ნახოდჩივი დედაკაცი ჰყოფილხარო,—ჰამაც შენი ქმარი შვიდი კვირაა რაც მოკვდა, ასე მალე გამოიგლოვე, რომ ეს ჭრელი ზიზილ პიპილა კაბა ჩაგიცვიაო? ძაან გიხდება აი, ნაინტერეს მადიანი რამე ხარო, —ვაჰ, ერთი ლოთიანათ თუ არ გაკოცე, ისე ვერ გაგიშვეფო!..

— პოჟალუსტა მაგისთანა ფინთ რამეებს თავი დაანებე, მართალია კაპიშონი მაცვია, ჰამაც პირტიტველი ვარ, ჰამა ამას თავი თაბაუთი აქვს, მე ქოს აკოფა ვარო, აქ ვბანაობდი და ტანისამოსი ძაღლებმა მომტაცეს მეთქი...

იღრიჭება.—ტოტაჯან, სიყმე-ძაღლი ვიყო თუ არ მომწონდე, მაგისთანა ხუმრობისათვისო, ჰამაც თუ ტანისამოსი ძაღლმა მოგტაცა, დაპუსტიმ—მეც მგელი ვარ და მე კიდევ შენ მოგიტაცეფო, ამისთანა ფაშფაშა დედაკაცები მე ძალიან ჭკვაში მომდისო.

მტაცა ხელი და მიმათრევს. სანამ ტყის პირას არ მიმიყვანა, არ გაჩერდა. ჰაი ვყვირი, ჰაი ვეხვეწები, ვემუქრები, ვებნები თუ პრიმეტები ნახე მეთქი—მაგრამ საქმეში ხარ?

მერე ჩხუბი და ყალ-მაყალიც მოგვივიდა... მერე გავქცუნდი რაღა, დავიმალე მაშ რას ვიზამდი? მაგრამ მოდი იცი რას გეტყვი? ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, ყველაფერს ვერ ვიტყვი და ჰამაც ხომ იცით, ფინთი ნერვნი ვინმე ვარ, და კიდევ მეწყინება—რაღა, გავჯავრდები.

— ვაჰხ, ასეთი მაზალო გინახიათ, რომ კაცმა ქალი და კაცი ვერ გაარჩიოს? მაგრამ ეს სულ იმ ბემურაზ კაპიშონის ბრალია. ის რომ არ ჩამეცვა, ასეთი რამეც არ მოხდებოდა!

ფარსადან.



**მამა** — როგორ გაბედე და ბიცოლას „გამოყეყეჩე-ბული“ დაუძახე! მიდი ბოდიში მოიხადე!
**ბავში**—ბიცოლა! ბოდიშს ვიხდი, რომ გამოყეყეჩე-ბული ხარ!

# ცალი ბაშმაკი

— რა ღირს უსტა ეს ბაშმაკი?

— ექსი მანეთი ილოს, მაგრამ შენი ხათრისთუნ იაფი მიგსეს!

— მაინც?

— ოთხი ილოს!

— ცალი ჴაშმაკი ოთხი მანეთი? ამდენი ფული მივცე და ცალ ფეხზე ჩავიცვა? იაფად მომეცი, რომ მეორეც შევიკერო.

— შენ არ ვისი რა ბაშმაკი ილოს, მადლიანია, ღვდელმა გალიდოს, სოფლიდან მაიტანოს, თქოს თუ იმის სახლში ყაჩაღი მივიდეს, მერე გაიქსოს და ეს ბაშმაკი იქ დააგდოს მაშაა?!

ამ ლაპარაკს ყური მოვკარ იარმუკაზე, ვანქის გვერდით, სადაც ძველი, ჯლანებით, ხარა-ხურით და დაობებულ წიგნებით ვაჭრობენ. ამბავი მენიშნა და იქით მივტრიალდი. უცბად ტანში ჟრუანტელმა დამიარა, როგორც ღობეზე დაჭერილ ქლიავის ქურდს. ვიცანი; ბაშმაკი ჩემი იყო. შეჩვენებულ ხუცესს, ამ ბაშმაკთან ერთად, მისი ოჯახის საიდუმლო ამბავიც ბაზარზე გამოეტანა.

სიტყვას რომ არ მოეტანა, ამ „საიდუმლოს“ გახმაურება არც ღირდა, მაგრამ—ვფიქრობ მისი „ტარტაროზში“ გამოქვეყნება სამსახურს გაუწევს ზოგიერთ თავზე ხელაღებულ სტუმარს, ვისაც „პურ-მარილის“ შემდეგ უძნელდება მღვდლისა და მღვდლის ცოლის ერთმანეთისაგან გარჩევა.

ეს ამბავი ნაალდგომევს მოხდა, თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი სოფლის (არ დავასახელებ) მღვდლის ოჯახში:

მე, როგორც ყოფილ მსახიობს, ყოფილ ახალგაზრდას, ყოფილ „სასურველ სტუმარს“ ხშირად მივლია სოფლებში წარმოდგენების გასამართავად. ამ სოფელშიც მიღებულ და აღიარებულ მსახიობად ვიყავი მიჩნეული და ადგილობრივ სცენის მოყვარეებში დიდი „მარიფათი“ მაქვს დატოვებული.



ავსტრიის კაპიტალის დარაჯი ზეიპელი

განსაკუთრებით კარგ განწყობილებაში ვიყავი იქაურ ფოფოდიასთან, რომელიც სცენის მოყვარეებში „პრემიერშად" ითვლებოდა. მას მე ვამზადებში „ხელოვნების ტაძრის ქურუმად" და ამ ნიადაგზე, მე და იმას „გულის ანგარიშებიც" გაგვიჩნდა.

რა თქმა უნდა ამის გამო მღვდლის ოჯახში—მუდამ თავი სტუმარი და შინაური კაცი ვიყავი.

ეს ძველი ამბავია.

ექვსი წლის უნახავი მყავდა ფოფოდიაც და მღვდელიც. „ასტავკაში" უმუნდიროთ გასულ მსახიობს საქმე ძალიან გამიჭირდა და გადავწყვიტე სოფელში წასვლა.

„ეგები ერთი წარმოდგენა გავმართო, ძველი დამსახურება დამეხმარება, ფოფოდიასაც ვნახავ, ძველ სიკეთეს გამიხსენებს" ვფიქრობდი მე.

აღდგომის მეორე დღეს სოფელში გავჩნდი. მოვნახე ჩემი „გულის ქალბატონი" (ფოფოდია) მტერს დაემართოს, რაც დღე დამართოდათ:

— „ბათუშკა", ერთხანს გაიკრიჭა და კოოპერატივში ადგილსა თხოულობდა, მაგრამ არ მისცეს. მერე კი, როცა გაიგო, რომ გახიზნულ მენშევიკების მთავრობას იქ კენტერბერიის ეპისკოპოსები, დეკანოზები და ბერ-მონაზონები გაუცვნია და იქიდან ლოცვა-კურთხევას გვითვლიან, წვერი და თმები ისევ გაიზარდა, ვინ იცის, ეგებ კიდევ გამოადგეს! მითხრა ფოფოდიამ.

— ფოფოდია, ყმაწვილო, ამტანი გამოდგა, რაც უფრო მეტი გაჭირვება ნახა, იმდენი განზე გაიდგა გვერდები—ნახე რა თუთლუპია—ხვი, ხვი, ხვი!.. ჩაიხვიხვნა მღვდელმა და ფოფოდიას გვერდებში თითი წაჰკრა..

მე და ფოფოდიამ კი თვალებით „გავიკენწლავეთ", ხოლო ერთ კუთხეში ჩურჩულის დროს მან მითხრა, რომ „გული ისევ ძველებურად ჩემთვის უძგერს".

ბინა არ ჰქონდათ, (პატარა ქოხში ცხოვრობდენ) საცმელი არ ჰქონდათ, საჭმელი არ გააჩნდათ... მაგრამ სააღდგომო საკურთხებიდან მორჩენილი ხორაგით და მიკიტან საქუასაგან ნისიათ მოტანილ ღვინით, მაინც კარგი დრო გავატარეთ.

ბინდისას კი ფოფოდიამ მითხრა:

— შენ დაბლა დაგიგებ, იფხიზლე,—როცა „ბათუშკა" დაიძინებს გადმოვალ, ხომ იცი, ისეთი ძილი იცის, რომ ზარბაზანი ვერ გააღვიძებს!..

მე შევატყე, რომ „ბათუშკამ" ჩვენ შეთქმულებას ყური მოჰკრა და ჩუმად თვალ-ყურის დევნება დაგვიწყო. (წინათაც ეჭვიანობდა ხოლმე).

დაწოლის შემდეგ, სულგანაბული უცდიდი „ბათუშკა"-ს ხვრინვას, მაგრამ გაუწყრა ღმერთი და ხვნეშას თავი არ დაანება...

ბოლოს ისევ მე ჩამძინებოდა. შუაღამისას გამომაღვიძა ხვრინვის ხმამ... დაუგდე ყური და „დავრწმუნდი", რომ ეს ბათუშკაა. ფრთხილათ ავყავი ხელი, ფოფოდიას მოვკიდე ფეხზე და ჩემსკენ მოვწიე. ის წამოჯდა.

— გადმოდი, „ბათუშკა" ვერ გაიგებს.

ის შეყოყმანდა.

— გადმოდი შენ გენაცვალე, მაგ გამოჩერჩეტებულს ხომ სძინავს მეთქი?

ნელა-ნელა ადგა, ფრთხილად ჩამოცოცდა და გვერდზე მომიწვა.

— აი ასე, მაგ ქოფაკს რას უწვები გვერდით, რა შეუძლიან მაგ ქეციან ტურას?—ვეჩურჩულები და ახლოს უწვები. ვაკოცე და... ჰოი საშინელებავ, „ბათუშკას" წვერ-ულვაში თივასავით მომედო. (თურმე ფოფოდიას ხვრინვამ გამომაღვიძა?).

— ჰაი—შე არამზადა, მაწანწალავ შენა, ოჯახში იპარები, სკდები, ტყვრები და მაგისთანა „რაზბონიკობასაც" არ იშლი?—დამიღრიალა ხუცესმა და ყელში მწვდა:

— ადექი, ლამპა აანთე დედაკაცო, დავახრჩობ ამ სალახანას, ადექი მიშველე...

ფოფოდია წამოდგა, ლამპა აანთო და ისიც „ბათუშკას" მიეშველა—ორივემ დამიწყეს ცემა... როგორც ხაფანგში მოწყვდეული წრუწუნა, ისე ვეხეთქებოდი კუთხიდან-კუთხეს. ბოლოს, როგორც იყო, ხელი დავტაცე ჩემ ტანისამოსს და ფანჯარაში ვისკუპე.

— შე მშიერო გლახაკო შენა, ამ ბაშმაკის ფულით გადავიხდი შენთვის ჩასაცეცხლ ნისიას, ხვალვე ქალაქში ჩამოვალ, სუდში გიჩივლებ... მე მეტი ველარაფერი გავარჩიე, რადგან სოფლის ძაღლები დამესიენ. სოფლის ბოლოში კი აღმოვაჩინე, რომ ჩემი ცალი ბაშმაკი იქ დარჩენილიყო.

იმას აქეთ კარგა ხანი გავიდა. მე ყველაფერი დამავიწყდებოდა, რომ წარსულ კვირას იარმუკაში იმ „სტარიადოჟი"-ს ხმა არ გამეგო და ჩემი ბაშმაკი არ მეცნო.

— ხაზეინ, ილიდოს, შენი ხათრისთუნ—გოხათროს...

მოურიგდი სამ მანეთად. ფული არ მქონდა და აი, გადავწყვიტე ამ ფელეტონის „ტარტაროზისთვის" გაგზავნა. თუ არ დამღუპავ ამხ. ტარტაროზო, ამით ორ საქმე გააკეთებ:

1) დამიბრუნებ ჩემ ცალ ბაშმაკს

და 2) საშუალებას მომცემ გავაფრთხილო ყველა „უმადური" სტუმრები, რომ მღვდლისა და ფოფოდიას ერთმანეთში არევა კაცს ხეირს არ დააყრის.

თარსი.

# მიპატიჟება

**ტფილისის ტრამვაის ახალ ვაგონით მოგზაურობა 1 კაპიკით მეტი ღირს**




— ჯანდაბას ერთი კაპიკი, კურიერსკით მაინც გავისეირნებთ!

# რამოდენიმე დღე ლანჩხუთში

ლანჩხუთს ლანჩხუთელები ქალაქს ეძახიან, მაგრამ იგი ქალაქად არ არის ცნობილი. აკაკი ქერქაძეს დღესაც ახრჩობს მოგონება იმის, რომ ფაცურიამ ვერ შესძლო კარგათ მოტყუილება ამას წინად ოზურგეთში ჩამოსულ კომისიას, რომელსაც ვალად ედო ლანჩხუთის ტერიტორიალური გამორკვევა და მისი ქალაქათ დამტკიცება, თუ ამის ღირსად ცნობდენ.

ქერქაძე ამტკიცებს: ლანჩხუთში 8 ათასი მცხოვრები შეიძლება გახდეს, თუ მის საზღვრებს გავაფართოვებთო.

— ახლა დაჯექი და ქექე ნაცარი... ეხლა ჩვენ რაღა ვართ! ლანჩხუთი რომ ქალაქად დამტკიცებულიყო, მაშინ ჩვენ ქალაქის სამსახურის კაცები ვიქნებოდით... აბა ახლა ვინ გაგდებს ჩირად!—ამაზე სტირიან ქერქაძენი და დაძმანი მისი.

ლანჩხუთი ლამაზია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქუჩებში უნებართვოთ დასეირნობენ: ბატები, ღორები და სხვა შინაური ცხოველები. ყოველ შემთხვევაში ზოგი ერთ აქაურ მოსეირნესათვის პირველათ სეირნობა ბევრათ უფრო მშვიდობიანია.

თუ გმირმა ლევარსი როხროხაძემ სამტრედია **ასმტრედია** უწოდა, ჩვენი აზრით დიდი ცოდვა არ იქნება, თუ ლანჩხუთს ასყვავიას ვუწოდებთ... ამას ამართლებს ყოველ საღამოს სადგურის წინ მოსეირნე უთვალავი გულ-ღია „მტრედები“. მანაე, გოგუცა, ნათელა, სარა, რისიმე, ნადია, გალინა, თამარა და სხვები, რომელთა მთავარ მოვალეობას არშიყობა შეადგენს.

მე მინდა პატივცემულ მკითხველს ვრცლად გავაცნო ლანჩხუთი, მაგრამ ამას დიდი წერილი დასჭირდება და სჯობია ეს უკანასკნელი დავამოკლო ფოტოგრაფ გოგიეს ცხვირივით. ცისფერი საღამოა ქუჩაში ვსაუბრობთ მე და გიორგი ფაცურია—კაცი ფიქრებით გატენილი. ტროსტი, საზაფხულო ცილინდრი და აღმასკომის თავმჯდომარე.

მე სულწასულივით ვეკითხები; ის დამშვიდებით პასუხობს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რადიო-მიმღების შეძენას არ ფიქრობთ?

— როგორ არა, ამის შესახებ თბილისში კაციც გვყავდა გაზგავნილი; დიდძალიანი მიმღების შეძენა გვინდა, მაგრამ ეხლა მაინც ერთ ადგილზე გაშეშება და მისი ყურება ძნელია სიცხეების გამო; ამიტომ ეს საკითხი ზამთრისათვის გადავდევით.

— საავადმყოფო გაქვთ?

— როგორ არა, საავადმყოფო კალანდაძის **სახლშია მოთავსებული.**

— აფთიაქი?

— აფთიაქიც გვაქვს. წინად ასკურავას დუქანში იყო და ახლა **ორაგველიძის სახლშია მოთავსებული.**

— მილიცია ხომ კარგათ მუშაობს?

— ისე... როგორც შესაძლოა... მილიცია **ებრაელიძის სახლშია მოთავსებული.**

— სასამართლო არის აქ?

— არის. **ალექსევის სახლშია მოთავსებული.**

— გლეხკომი გაქვთ, ან დახმარებას იძლევა ვინმეზე?

— ისე... რამდენათაც შესაძლოა... გლეხკომი **ხუხუნაიშვილის სახლშია მოთავსებული.**

უეცრივ გავშორდი ჩემს მოსაუბრეს. ცისფერი საღამო უცნაურ სალამოთ შეიცვალა. ნეტავ ლანჩხუთი სად არის, თუ ყველაფერი სხვათა სახლებშია **მოთავსებული?** —ვეკითხებოდი ჩემს თავს. აქ ვის არ მოწყინდება; არც ერთი სალამო, არც ერთი წარმოდგენა... არშიყობა და მტვრიან ქუჩებში სეირნობა (ბაღის გაშენება ლანჩხუთლების უძველესი სურვილია) რა საქმეა!

ერთად ერთი სამკითხველოა აქ თვალ ჩენილი და ისიც გულ-გახეთქილ კაცივით გამოიყურება.. მის გვერდებზე—ლანჩხუთის **„ავ-კარგი“** მკვდარ კატასავით ჩამოკიდულია, რომელიც საარშიყო ლექსებით არის სავსე.

სადგურში გამოვედი...

.. მატარებელი დაიძრა.. მშვიდობით...

.... იქ სადგურის სამორიგო ოთახში კოწია მენალარიშვილმა (სად. უფროსის თანაშემწე) ვიღაცას „ტკბილათ“ შეუკურთხა...

**იანო.**

# ტრაგედია ყავახანაში

სცენა წარმოადგენს პარიზის ერთ-ერთი ტრახტირს. ფარდის ახდისას სცენაზე არიან დიდი ნოე, პატარა ნოე და დაყუდებული ემიგრანტები.

დიდი ნოე პატარა ნოეს ნარდს ეთამაშება.

ბოლოს შემოდის სპირდონ კედია.

### გამოსვლა პირველი

**დ. ნოე.** საკვირველია ღმერთმანი, დღეს ძალიან გამიბრუნდა ხელი, სულ წაგებაში ვარ... „სე“ შე ოხერო კამათელო!..

**პ. ნოე.** ეს პარტია თუ წავაგე თავი არ მინდა ცოცხალი.

**დ. ნოე.** არ წააგო შე ოხერო კამათელო, თორემ რისი მაქნისი ვიქნები ამ პარტიის წაგების შემდეგ, თუ თქვენ მომიგეთ უფლება საქართველოში დაბრუნების შემდეგ თქვენ იბატონოთ და არა მე! „სე“ მეთქი, კამათელო!..

**პ. ნოე.** კამათელო, არ დაუჯერო დიდ ნოეს!

**დ. ნოე.** (გააგორებს).

**პ. ნოე.** (გახარებული) „ფანჯი და ჩარი“ ნოეს...

**დ. ნოე.** აი დასწყევლოს ღმერთმა! ეხლა რაღა დროს „ფანჯი და ჩარი“ იყო, შე ოხერო!... (თამაშობს) სწორედ ნიშანია წაგების!..

**პ. ნოე.** თუ ეს პარტია მოვიგე, შემდეგ გეთამაშები იმაზე, რომ კომუნისტების წამების უფლება მე მექნეს...

**დ. ნოე.** ეგრე იყოს, გააგორე კამათელი!..

**პ. ნოე.** ერთი „იაქე“, შენი ჭირიმე კამათელო, და მერე მე ვიცი შენი პატივისცემა!.. (გააგორებს). „დორთჩარი“! რა ეშმაკად მინდოდი შე ოხერო .დიდო ნოეჯან, მგონი ეს პარტია წავაგო!..

**დ. ნოე.** ერთი „დუ“ კამათელო და მერე მე ვიცი!.. (გააგორებს).

**პ. ნოე.** (მიაყვირებს, რომლის დროსაც პარიზი შეჰქანდება) ვაი-მე, დავიღუპე!.. (ამ დროს შემოდის კედია. პატარა ნოე ყურადღებას არ აქცევს და ისევ გატაცებით ეთამაშება დიდ ნოეს). „დუ“ რაკი მოგვივიდა, აწი რა გიჭირს!.

**კედია.** რაო?.. „დურაქი“ თვითონ ხარ და კიდევ უარესი... ვის უბედავ მაგას!

**პ. ნოე.** მე თქვენს შესახებ არ მითქვამს, მაგრამ თუ გინდათ იყავით... რავა, ვითომ რითი მჯობიხარ?!

**კედია.** გამიშვით, ბიჭებო!

დიდ ნოეს მოხუცებულობისაგან და შიშისაგან სკამდალი ემართება. იმართება უმაგალითო ბრძოლა. შემოსცვივდებიან სხვა ემიგრანტებიც, ზოგნი კედიას მიეშველებიან და ზოგნი ნოეებს. ბოლოს ყველანი ერთმანეთს დახოცავენ.

### აპოთეოზი

საიქიოსი ღვთისმშობლის წინ დ. ნოე, მასთან ყველა დახოცილებიც. დ. ნოე მუხლებს მოიდრეკს და მიმართავს მარიამს. „დედაო ღვთისაო მარიამ, თქვენი ხვედრი საქართველოს განსათავისუფლებლად უსჯულო კომუნისტებისაგან ვიბრძოდით ჩვენ და გმირულად დავეცით ბრძოლის ველზე, ამისათვის გევედრები დაგვიმკვიდრო სასუფეველი!“.

მარიამ ერთხელ და სამუდამოთ უპასუხებს: „და იმყოფებოდეთ აწი საფარველსა ჩემსა ქვეშა. ამინ.

**ტარტაროზის ნათლია.**

# ჩემი ნაკაზი

**(ტოზანიერი)**

შოდი ვანხოთ ეპო  
ა ჩტო ზნაჩიტ ეტო?  
მაუზერი და ნაგანი  
ნოქრებს აღარ ეყოთ?  
დახლში ჩამდგარხარ ბიძია  
და რევოლვერი გკიდია,—  
რატომ არ იცი, ეპოში,  
ეს არაფერი რიგია!  
ალმასკომს უთხრათ: ბაზარში  
ხალხი რომ იხრჩვის ნაგავში,  
უნდა გახვეტოთ რადგანაც—  
ასე სწერია ნაკაზში.  
ტბები დააშრეთ ბაზარში—  
კოლომ იშოვა ბინაო.  
თორემ აფთიაქს არ ყოფნის  
მალარიისთვის ხინაო.

**ვოცონი.**

# ტარტაროზი

## „ჩემპიონი“

ეს გახლავთ „სერიოჟა“ კონაშვილი, რომელიც ახლო ხანში აპირებს მსოფლიო მოკრივეთა შეჯიბრში მონაწილეობის მიღებას. ჯერ-ჯერობით რეპეტიციას ახდენს თელავში პატარა ბავშვებზე; შედეგი კარგი აქვს: ძმარს ადენს ცხვირიდან თავის მოწინაალმდეგეს.



ასე გვატყობინებს თელავიდან „ძმარი“ (ალბად ამასაც უგემებია სერიოჟას ძლიერება).

თუ სერიოჟამ ხელები არ დაიმოკლა, იცოდეს, რომ მისი გენერალური რეპეტიცია ასეთი იქნება ტარტაროზთან.



## დიალოგი

თქვენ გგონიათ, რომ ეს დიალოგი რომელიმე პიესიდან არის? არა. მართალია: ერთგვარი სცენა აქაც არის. მაგრამ ეს სცენა ხდება არა თეატრში, არამედ სოფ. ქვიშნარის (გურია) შარა-გზაზე.

(ზღაპარი არ გეგონოთ; ასპროცენტიანი სიმართლეა, თუ არ გჯერათ, დაეკითხეთ გ. მელვნარელს)

შარა-გზაზე მიდიოდა
ჩვენი სოფლის ერთი გლეხი.
გზებზე ქვები ყველგან ჰყრია,—
მოიტეხა მასზე ფეხი.
მეორემ კი შუა ლაფში
ჩავარდა და ჩაიძირა.
„მიშველეთო,—ვიხრჩობიო“
მან ხმა მაღლა დაიყვირა.



პირველი: მე აქედან რა გიშველო,—
მეც დამეცა თავზე მეხი;
შენთან მოსვლა მე არ ძალმიძს,
მოვიტეხე ცალი ფეხი.
ამოტოპე ტალახიდან
და მომეცი შველა რამე!
მეორე: მე აქედან რა გიშველო,—
ვილუპები ვამე... ვამე!..

თემაღმასკომის თავმჯდომარეს, რომ შეემთხვევოდეს ასეთი ბედნიერება“,—მოსალოდნელია, მან ყურები რომ გამოიფხიკოს (გამოიწმინდოს) და თვალები აიხილოს. თუ მაინცადამაინც საჭიროა,—ამის ასრულებაც ადვილია. ტარტაროზის ერთს დაცხინკვებაზე, იქ ამოჰყოფს თავს (უფრო სწორედ, რომ ვსთქვათ—ფეხებს) აი, ასე:



## „ამერიკელი ძია“

თუმცაღა უფრო სწორი იქნებოდა (გეოგრაფიულად) „ნაძალადევი ძია“, მაგრამ როგორც შევახშე, მისთვის უფრო შესაფერისია „ამერიკელი ძია“.

შესაძლებელია, ბევრმა უკვე მიხვდეთ, თუ ვისზეა აქ ლაპარაკი!.. დიახ! სწორედ ის არის—**სერგო ზახტაძე.**

აი ეს ჩერვონეცი მისია, ხოლო ჩერვონეცზე რომ მანეთია, იგი „პროცენტი“ გახლავთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ეუბნება სერგო თურმე მეზობელს და ამხანაგებს, რომლებიც ფულს შეესესხებიან:

**— რა ვქნა, ძმაო,—მე კი არა, ამერიკა იღებს პროცენტებს, და მე რა ჭრელი გოჭი ვარ?**

მგონი **მეცამეტე** (ჭრელი) გოჭი უნდა იყოს და... მანდატის იმედი ნუ ექნება. (ცამეტი ყოველთვის ზედმეტი ბარგია და თანაც კვიმატია).

## „წმინდათა რედაქცია“

რომ ბევრი არ ვილაპარაკოთ, მოკლეთ მოვუსმინოთ **დარდი-მანდს.**

**სოფ. ნაფარეულის სახალხო მამულის ადგილკომში კედლის გაზეთის ფაქტიურ ხელმძღვანელად არის (ყოფილი) მღვდელი. ჰო-და რას უნდა მოველოდეთ მისგან!; ერთი ნომერი არ გამოსულა ხეირიანი!**



აქ, სურათზე ნაჩვენებია კედლის გაზეთის რედაქციის თანამშრომლების მუშაობა.

## ორ ალაგას (ალბად სხვაგანაც)

ხაშური და ქუთაისი. ორი ქალაქი, ორი მუშათა კლუბი. მიდის კინო-სურათი. **ბოროტ-მოქმედი** შეიპარა ოთახში, სადაც სძინავს ბავშვს. იძრობს ხანჯალს და მძინარე ბავშს გულში ჩასცემს.... ხომ შემაძრწუნებელი სანახაობაა? თქვენ გგონიათ ამ დროს პიანინოზე შესაფერის რამეს უკრავენ, პირიქით, როცა ეკრანზე ეს სანახაობაა დამკვრელი უკრავს ლეკურს. (ალბად მეტი არაფერი იცის) მოგეხსენებათ: დამსწრე საზოგადოებაში ბევრია ღვინით შეზარხოშებული, როგორც კი ლეკურს გაიგონებენ, გაიმართება ცეკვა.



როცა გამოვკითხე პიანინოს დამკვრელს, თუ რატომ შვრება ასე, მან მომიგო:

**— თქვენ ცდებით, ამხანაგო, როცა ფიქრობთ, რომ მე სხვა კიდევ არაფერი ვიცი. აი, ნახეთ!**—და დაუკრა „კრაკავიაკ“. ბოლოს დაუმატა:

**— როცა ეკრანზე საზარი სურათი მიდის, მაშინ თუ სამხიარულო რამე არ დაუკარი, ხალხი მოიწყენს და მეორეჯერ აღარ მოვა კინოში.**

(ჩვენ კი პირიქით გვგონია).

## „წმინდა გიორგი“

ქუთაისელი „ქარხნის მუშა“ შემდეგს გვთხოვს:

**გთხოვთ მოათავსოთ სურათი. გიორგი პროტექციის მოყვარული კაცია და მას არ ეწყინება, თუ თქვენ ჩემს პროტექციას, მასზე ყურადღებას მიაქცევთ და მოათავსებთ მის კარიკატურას.**



აი ასეთ შემთხვევაში ჩვენ არ ვართ პროტექციის მტერი და ამიტომაც ვათავსებთ გიორგი ხელაძის სურათს. ბოდიშს ვიხდით, რომ ზურგი უკან აქვს, უკაცრაკოდ, (ზურგი ყველას უკან აქვს) ზურგი თქვენსკენ აქვს შემოქცეული, მაგრამ მას მხოლოდ ასე წაევპარეთ სურათის გადასაღებათ.

თანაც თვითონ გიორგის მუშა-მოსამსახურესთან ლაპარაკის დროს, ასე ჯდომა (ზურგშექცეული) უფრო ეხერხება.

**ეს ჩვენი გრიშა—„წმინდა“ გიორგი**
**კვლავ პროტექციას იჩენს, ანახლებს.**
**ობლებს და ქვრივებს ხსნის ადგილიდან.**
**და მათ მაგიერ ლებულობს ახლებს...**

## სულ ძილი... ძილი...

ილია ჭავჭავაძეს, რომ ეს ლექსი ეხლა დაეწერა, ყველას ეგონებოდა, რომ მან ეს ლექსი დასწერა ნ. ახალდაბის მუშათა კლუბის გამგეობაზე, რომელიც, როგორც **ახალდაბელი** გვატყობინებს: **სალათას ძილს მისცემია..** და ისე მაგრად სძინავთ, რომ კლუბში მოთამაშე ბავშების აურ-ზაური და ხმაურობაც კი ვერ აღვიძებს. ბოლოს ასე ათავებს **ახალდაბელი—ხოლო როდემდის** (იძინებენ)!?

როდემდის და მანამ გამოაღვიძებდენ. ე. ი. გამოსცვლით. თორემ ვერაფერს უშველის თქვენი მოთქმა.

**სულ ძილი, ძილი...**
**როდის ეღირსოს**
**მათ გაღვიძება?**

# წერილი ამხანაგთან

— დავო მატრონია, პირველად გისურვებ შენს კარგად ყოფნას შენი კეთილის მსურველებით, რომ კარგად მყოლოდეს შენი პატიოსანი თავი. ახლა დავო მოგიკითხა დედამ და მამიდამ. ახლა დავო მოგიკითხა კეკემ, ფეფომ, და ტერეზამ. ახლა მოგიკითხა დათომ, პეტიამ და ქაჩალამ. ახლა ჩემო მატრონია, შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე ერთი სათხოვარი საქმე მაქვს შენთან, ვიცი არ გამაწბილებ და ამ საქმეს დაწვრილებით გამიგებ.

მე და დედაჩემს მუდამ დღე ჩხუბი გვაქვს, ბეჩა ვერ იქნა და ვერ დავაჯერე, რომ ახლა მოდაში ცოლიანი კაცების ხელში ჩაგდებაათქო. ტყვილად კი არ მეუბნება ჩვენი დათია, ველარ გეიგეთ, რომ ის დრო დიდიხანი წავიდა, როცა ცოლიან კაცებისაკენ ცალი თვალით გახედვაც კი საშიში იყოვო?.

ახლა პირიქით, უცოლო კაცებისაკენ ალარავინ იხედება. ჩემო მატრონა შენ გენაცვალე, ქალაქში ნამყოფი ქალი ხარ, ხალხში გახედული და შენ შეგიძლია გამიგო მართალს ვამბობ თუ არა. იქნება რამენაირად ეს გამოჩერჩეტებული დედაჩემი დავაჯერო, რომ გამატანოს ჩემს იუსტინეს.

ბეჩა ეგება შენც კარგად იცნობ, „კომწომოლისტია“, პარტიიდან გადმოგზავნილი ჩვენ სოფელში, თუმცა ცოლიც ქე ყავს და ხუთი შვილიც, მაგრამ ის არ ჯობია თუ კი „მოდნა“ ასეთია ქე წავყობი ბარემ. ჩვენი სონიესი არ იყოს, გუშინ წინ შემხვდა. მკითხა აქეთური, იქეთური, და როცა ჩემი და იუსტინეს ამბავი შევჩივლე, ალტაცებაში მოვიდა და შემომძახა „კაკაია პრელესტ“, ცოლიანი კაცის შეყვარებაო. პარტიული კაცია და მისი დიდკაცობა კმარა მარტო. თურმე ყველა იმას იცნობს და „გილოინწკზე“ როცა მიდის, ნაცნობები ქუდს უხდიან. ასე ჩემო მატრონია. მე ძალიან მომწონს ეს მოდნა. აპა ბეჩა რა გასაკვირია ახალგაზრდა და უცოლო კაცის გულის მოგება, საქმე ის არის ცოლშვილი მიატოვებიო კაცს და შენსკენ გადმოიბირო.

ახლა მშვიდობით ჩემო მატრონია, ველი შენგან ყველაფერ ამბავს დაწვრილებით. და თუ მევესწარი ჩემს იუსტინეზე ჯვარის დაწერას, მაშინ სხვა უნდა ვეძიო.

ახლა მშვიდობით, მოგიკითხავს შორიდან ხელის ჩამორთმევით, ტუჩზე კოცნით და ნახვის ნატვრით". შენი დაი ფეფელო.

„დაუსტვინე“.

# სწორი პასუხი



ბურჟუა—სიმართლე გითხრა მოთმინება დამიკარგა ამ მუშათა დემონსტრაციებმა!

შვეიცარი—ყველაფერი რომ დაგეკარგებათ ის თქვით, მოთმინების დაკარგვას რას დაეძებთ!

# იმერეთიდან—იმერულათ

კაი გამარჯობა თქვენი — ტარტაროზო და მისო ქირისუფლებო!

არა, ფხა და უნარი წერის ქე გქონიათ, თვარა ვერ გაასლდებოდით...

მარა, რა საჭიროა ბევრი ლაპარიკი, არ იყოს რომე, პატარაჲი გული მწყდება.—ნუყურ, იმერეთიდან მოწერილებს ერთობ ცოტას ვუყურებ ტარტაროზში. თუ ფიქრობთ, რო ტარტაროზის საკბილო და სანიკარტო ამბები არ ხდებოდეს აქეთ, ძაან შემცდარხართ: მთელი იმერეთი იკლიკანტური და კუდაბზიკური ამბების ბუდეა. მისთანა ამბებს, ტარტაროზს რო შეეფერება და თქვენც ჭკუაში დაგიჯდებათ...

ამ საბუთით, თუ კი იქვენი ნებაც იქნება და ტარტაროზიც მიმასინძლებს, გესტუმრები მოვალ...

მოვალოო!? ა! არ მომიკვდეს შენი თავი! რაცხა ერთობ მოხშირდა კისრისტეხა ამ ჩვენ რკინის გზაზე და, ორი პარასკები დამრჩენია, რაზე გევიძალლო სიცოცხლე!

მოვალ-თქვა, რო მოგახსენე ჩემი უსტრები მოვა ჩემს მაგიერ.

ეგება, ბევრს ქე ემცხადოს და ეძმაროს, ჩემს წილადო ბილას რო ჩააბულბულებს, და ბულბული კი არა, ყვავათ მეეჩვენოს, მარა არაფერია. მობოდიშების რა მოგახსენო! დრო წევიდა ამისი და არც მე მცალია საამისოთ და ტარტაროზიც იუკადრისებს ამფერ საბოდიშო, სალაქუცო ამბებს. პაგრამაში არ უწერია ასე.

აქიდან გამიფთხილებია ყველა ფარსაგათ დევებდლევნები და გავპუტავ, რაც კი გასაპუტავი ფეხებში შემომებლანდება.

მრთალია, ისეც კიარა დასტურ, რომე აგებულობა შოულანძლო, ან დაუშავო. გარეგნულობასთან ქე რა საქმე მაქ, ჩემი გაკეთებული არაა, არც შრომა გამიწევია და არც არა მისი შეპაჩინკება დოუვალებიათ ჩემთვის. არც მუხაძე ვარ და არც კიდო კახიანი, რომე ადამიანის გარაგნულობაზე ვიხლაფორთო. საკბილოს რო წავაწყდები, მე ჯიქურ მის სულს, გულსა და ზედასართულს დევეძგერები.

ეს სამი საგანი მექნება ნიშანში ამოღებული: სული, გული და ტვინი. თუმცა მეცნიერმა ივ. გომართელმა ქე დასწერა ამგენზე დისერტაციაო, მონოგრაფიაო, თუ რაცხა ჯანაბას უძახიან.

მე კი სულ სხვაფერ... აჰა, ვანოსთან ტყულა რო გევიჯგიმო, რკინის გზაც არ მინდა, ისე მევიტეხ კისერს!

მე სულ სხვაფერ: ავსულიანს იმდენს ვუბერავ სულს, რომ მეც გევიგუდები, მარა არც იმას დავაყენებ კაი დღეს. ავგულიანს დღეს,ხვალ მოვფხან გულს და გულს საგულეს ჩაუდგამ. ავტვინიანს იმდონს ვეჩიჩინები, რომ ან მოვადუნებ და ან სულ გამოვატვინებ.

ა, ბატონო! ეს გახლავთ თავარი მუხლები ჩემი პაგრამის, და თუ მიმიღებთ, თქვენთან ვიქნები, თვარა და ამ ორ კვალ მიწაში და ქოხში ვერ შემომედავებით, ქე ვიცი, და ვიქნები ჩემთვის.

მარა ეს კაი, რო ზოგიერთები, ვინც ნავარდობას ნაჩოვი არიენ, არ მეიშლიან ამ ნავარდობას, და კალმის წვერზე რო წამოვაგებდი, ეგებ, მარიფათი წახდენოდათ... ქე რა უყო! თქვენ მაინც მშვიდობით იყავით... და ათასათ გადეიქეცით..

იმერელი.




## საწველი ფური

(ამაღლების თემი)

დაგვილარიბდი გლეხკომო,
შემოგელია ფულია,
და მით მომიკალ გულია.
სანამ იყავ ვაჟკაცი
და გქონდა ძალა სრულია.
დიდი, პატარა შენ გვთვლიდა—
შენ იყავ მათი სულია.
შენსა გამგეს და მსახურებს
კავშირი ჰქონდათ ძმურია,
არ შეგარჩინეს ზედაშე
ბრინჯი, შაქარი, პურია.
სულ-ყველა გოგო შენ შემოგიჩნდა
გარეულ-შინაურია,



გიყეფდეს. გიწანწკარებდენ.
ვით კილტულ წუწკი მურია.
ჰოდა, რა გიქნის ხომ ხედავ?
წონით ვერ მოხვალ ფუთია,
გამოგაცალეს სიმძიმე—
აწ შენი ყოფნა წუთია.
მაგრამ... რომ კვდები, ძმობილო,
ობლები გრჩება წვრილია.
შეხედე გლეხებს, ღარიბებს
ეხლა კი იგრძნო სულ-ყველამ
სულ-ყველა შენი შვილია.
მოსთქვამენ ( მღ ბს აფრქვევენ
მიწას ახალეს ქუდია.
რომ უშენობა ცუდია.

ოროკელი.

### მესტვირელი

შენ ჩემო გუდავ, ხალხისთვის
ავაპიპინო სტვირია,
თავზე მალამო მოუსვათ
და მით ვიშოროთ ჭირია.
ავიარ-ჩამოვიაროდ,
ამ ჩვენი ნაზი მღერითა,
და შეუაროდ კორმაღალს,
ჩვენი მხიარულ ლხენითა.
სალამი მივსცედ ჩვენ სერგოს,
მედუქნეს, ძმას და პირის მზეს
კარტის თამაშით ატყვილებს
ის საწყალ გლეხებს ყოველ დღეს
რომ დაღამდება, მაშინვე
ყველანი იყრის იქ თავსა,
კარტს შლიან, ნარდს თამაშობენ
დავიან დავბასიანსა.
ბავშვებიც კი მიიჩვია
სათამაშებლად კარტისა
არც ეშინია მთავრობის,
არც ერიდება მამისა.
ეხლა შენ, ჩემო ქამანჩავ
გთხოვ ჩავირბინოთ ჭალაში
და იქ ვესტუმროთ ალმასკომ
სადილს ან ვახშმის ჭამაში.
თორემ ისე ვერ მოიცდის
სოფლის საქმე აქვს ნაქარგი.
(მართლა არავის ეგონოს
თითქო ეს იყოს მართალი).

ტრიცა.

### „ბუხუტის ნადირობა"

ბუხუტიმ გადინადირა
კლუბი ორ სართულიანი.
ვერ ნახა ღვინის ყლუპები,
ვერც ხულიგნები რქიანი.
ნახტომსა შველსა დარაჯს
ჰკრა წიხლი ბატინკიანი.
ჰკრა და ძირს გადმოაბრუნა
დააწყებინა ღრიალი,
იძახის მუშეის მოღერით
იქადნის თვალ-ცეცხლიანი.
თუ კი ვარ კლუბის გამგისა
დამხმარე თანაშემწეო,
დიახ უფლებაც ხელთა მაქვს
მეფე ვარ ყოვლის შემძლეო!



რა უყოთ თუ დარაჯია
უპატრონო და უმწეო
პანღურს ვკრამ ' ის რო ვარტყამ
და ხშირად ყურს რომ უწეო?
კაცად ვზრდი, ჭკუას ვასწავლი
მით მეგობრობას უწევო".
იძახის იქვე დარაჯი
ცრემლში იხრჩვება ნაცემი.
ნეტავ ვინ არის შემბრალე?
მთქმელი პასუხის გამცემი?

ქარა.

## ვ ა ხ!

ეხ, მახლას!.. ან სახლს ვინ ჩიოდა ან დუქანს, რომ ეს ჩემი გარგვალებული დედაკაცი, კუკლა შუშანა არ დამეკარგა! მერე, რანაირათ ვინახავდი იმ პირძაღლს იმასა! პასლედნი ფეხის გულებსაც კი დუხითა და ლადიკალონით უზელავდი. მერე რა სული აძლიოდა იმ პირშავს იმასა! პირდაპირ ვიბნიდებოდი რაღა, რო ვსუნავდი!

ჰო და, ამისთანა შენახული დედაკაცი მე რაღას დამიდგებოდა! ასწია და ვიღაცა დიდპორტმანიანს დაუჯდა ხაპად!

მაინც და კრუგომ ფული!!!. საითაც გაეიარე ყველგან ფულსა მთხოვენ რაღა! ეს ნალოგი რომ ნალოგია, ენტა ნიჩევო, ფსტიაკ! შენ ეს პრაზნიკები და კამპანიები ნახე რამდენია და! ეს რეჟიმ ეკამონიის კამპანიაო, ეს ფასების დაკლებისაო, ეს კრასნაარმეისკიო, ეს კომცომოლსკიო, ეს ჟენცკიო, ეს ტუბერკულიოზნიო!.. ვა, ვა ვა ვა! გაგონილა, ხალხნო, ამდენი კამპანიები დ პაჟერტვანია! გაიფხიკა ჯიბეები, ქრისტიანო, ფოლ ჩკა ვა!...

წამდაუწუმ მომადგებიან ეს ბარიშნები, მომაკრავენ რაღაცა ქაღალდის ნაჭერს გრუდზედ, თითქოს ერთი მოსროვცკი აკდემია დამესრულებინოს! გამიყრიან ქინძისთავს და გინდა თუ არა ფულიო! დღეს ჭლექის დღე არის და გინდა თუ არა პაჟერტვანია უყვიო!"

ვეებნები: ხალხნო, საიდან? სახლი მე აღარა მაქვს, დუქანში თაგვები ნაურწკის თამაშობენ, დედაკაცი გამექცა, ფული მე არა მაქვს და საიდან მეთქი! თუ ჭლექზე წავა საქმე, ჩემისთანა კრუგავოი ჭლექი ვისა აქვს მეთქი:

მაგრამ ბანჩუნეს! ვინ გუგდებს ყურს! მე ხმელი პურის ჭამითა ღრძილები ავეტიქას კოჭლი ვირის ზურგივითა მაქვს გადატყავებული და ამისთანა დროს მომადგებიან კრუშკებით ეს ძეხვივით გატენილი ბარიშნები და გინდა თუ არა: „ჩააგდო!" ვა, ხალხნო, სამი დღეა არაფერი მიჭამია, ჯიბეში თაგვები ნაურწკის თამაშობენ და მშიერმა კაცმა რა ჩაუგდო, მაგრამ რომ შამოგესევიან ეს კურდაჭები და დაგიწყებენ კუდის ქანაობას და გეხვეწებიან: „ჩემს კრუშკაში ჩააგდე, ჩემს კრუშკაში ჩააგდე!"

მოდი ნუ ჩაუგდებ თუ ბიჭი ხარ და ქუდი გხურავს!

გ—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქ, სადაც ისვენებენ



ავადმყოფობის თვალყურის დევნება ჩვენს აგარაკებზე.

ალმასკომის 1-ლი სტამბა, კამოს ქ. № 68.